

საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/53

14 ივლისი 2017წ.

ქ. ბათუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე 2017-2018 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და საგამოცდო კომისიების შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-14 მუხლის, „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის გ. ფარტენაძის 2017 წლის 26 ივნისის №742937, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, გ. ფარცხალაძის 2017 წლის 12 ივლისის № 820054, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ნ. ზოსიძის 2017 წლის 05 ივლისის №785274, განათლების ფაკულტეტის დეკანის, მ. მიქელაძის 2017 წლის 07 ივლისის №798842, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, ა. მახარაძის 2017 წლის 12 ივლისის №820174, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, ვ. ლლონტის 2017 წლის 07 ივლისის №800177, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, მ. გიორგაძის 2017 წლის 12 ივლისის №823121, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ქ. ბერიძის 2017 წლის 10 ივლისის № 808265, ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელის ნელი ახვლედიანის 2017 წლის 10 ივლისის № 807837 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დანართი №1-ის შესაბამისად.
2. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს მაგისტრატურაში მიმდებ კომისიაში, 2017 წლის 21 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე, 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქუჩა №32, ოთახი №2 (ყოფილი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის კორპუსი).
3. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება (დანართი № 2)

ბ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

გ) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;

დ) ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით) ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - უნივერსიტეტის მიერ დამოწმებული, ხოლო 2017 წელს კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე).

ე) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე, ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);

ზ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა.

4. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები ჩატარდეს ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში (მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12, ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობაში) შემდეგი განრიგით:

4.1. მისაღები გამოცდა უცხო ენაში - 2017 წლის 30 აგვისტო (დაწყების დრო: I ცვლა - 10⁰⁰ საათი, II ცვლა - 14⁰⁰ საათი; III ცვლა- 17⁰⁰ საათი):

4.1.1. გამოცდის შედეგები გამოცხადდეს - 2017 წლის 31 აგვისტოს;

4.1.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2017 წლის 1 სექტემბერს, მაგისტრატურაში მიმღებ კომისიაში.

4.1.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა - 2017 წლის 4 სექტემბერს.

4.2. მისაღები გამოცდა სპეციალობაში - 2017 წლის 5 სექტემბერს (გამოცდის დაწყების დრო: I ცვლა - 10⁰⁰ საათი, II ცვლა - 14⁰⁰ საათი; III ცვლა- 17⁰⁰ საათი):

4.2.1. გამოცდის შედეგები გამოცხადდეს - 2017 წლის 6 სექტემბერს;

4.2.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2017 წლის 7 სექტემბერს, მაგისტრატურაში მიმღებ კომისიაში.

4.2.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა - 2017 წლის 8 სექტემბერს.

5. გამოცდების საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2017 წლის 12 სექტემბერს, ბსუ-ს ვებგვერდზე და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

6. გამოცდებზე დასასწრებად კანდიდატმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი (დაგვიანებული კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება).


7. შეიქმნას მაგისტრატურაში მიმღები კომისია №3 დანართის შესაბამისად.

8. სპეციალობაში მისაღები გამოცდების ჩატარების მიზნით შეიქმნას კომისიები სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, №4 დანართის შესაბამისად.

9. უცხო ენაში მისაღები გამოცდების ჩატარების მიზნით შეიქმნას კომისიები №5 დანართის შესაბამისად.

10. მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების პროცედურასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას სამაგისტრო გამოცდების საპრეტენზიო კომისია №6 დანართის შესაბამისად.
11. წინამდებარე ბრძანებით შექმნილ კომისიებს ეთხოვოს „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილებისა და ამ ბრძანების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.
12. ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2017 წლის 14 სექტემბერს, ფაკულტეტების დეკანების მიერ წარმოდგენილი სამსახურეობრივი ბარათების საფუძველზე.
13. დაევალოს კანცელარიას განათავსოს ბრძანება კანცელარიასთან და ფაკულტეტებთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
14. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე
პროფესორი




თამარ სირაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი:	114
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაქტიური მისამართი და ტელეფონი	ბათუმი, 6010, ნინოშვილის ქუჩა №35, ტელ: +995 422 271787
ვებგვერდი	www.bsu.edu.ge
ელ.ფოსტა	info@bsu.edu.ge
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	ანზორ ბერიძე (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი) 593 31 37 77, a.beridze@bsu.edu.ge

სამაგისტრო პროგრამის დასახელება	მოზანი	სწავლის შედეგი	კრედიტების რაოდ.	ინფორმაცია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ
ლინგვისტიკა(სპეციალიზაცია -თარგმანმცოდნეობა,რუსული ენა.ქართული ენა)	პროგრამის მიზანია ყველა დაინტერესებულ პირს ეროვნების, სარწმუნოებისა და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად შესთავაზოს მაღალი ხარისხის განათლება ენათმეცნიერებაში.პროგრამის მიზანია - აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი ფართოპროფილისლინგვისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება. პროგრამა ორიენტირებულია ჰუმანიტარულ სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების განხორციელებაზე მოსახლეობის კეთილდღეობის, ეკონომიკური ძლიერების, თავდაცვისუნარიანობის, დემოკრატიული პრინციპების დაფუძნებისა და სულიერების ამაღლების მიზნით.	1. ცოდნა და გაგნობიერება:1) აქვსზოგადი და დარგობრივი ლინგვისტიკის ღრმადასისტემური ცოდნა;2)აღნობიერებსკულტურათმორისიპრობლემებისგადაჭრისგზებს;3) აქვს მთარგმნელობითი საქმიანობის ცოდნა. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:1) ფლობს მეცნიერული დაკვირვებისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს და შეუძლია მულტიდისციპლინურ გარემოში კვლევისდამოუკიდებლადგანხორციელებაუახლესლინგვისტური მეთოდებისადამიდგომებისგამოყენებით;2)ფლობს და პრაქტიკაში იყენებს მთარგმნელობითი საქმიანობის უნარ-ჩვევებს.დასკვნის უნარი:1) შეუძლია ჩატარებული მეცნიერული კვლევის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება და მათი შედეგების განზოგადება;2) შეუძლია ლინგვისტური ინფორმაციისინოვაციურისინთეზი. კომუნიკაციის უნარი:1)აქვს აკადემიურთუპროფესიულსაზოგადოებასთანშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი;2)აქვს საინფორმაციო-საკომუნიკაციოტექნოლოგიებისმიღწევათამოქმედებითადგამოყენების უნარი. სწავლის უნარი:1) აქვს ლინგვისტიკაში შეტენილი ცოდნის გაღრმავებისა და სრულყოფისთვის დამოუკიდებელი მუშაობისა და თვითშეფასების უნარი;2)აქვს ფართოპროფილისლინგვისტური ცოდნის ადვილად ადაპტირების უნარი ცვალებად პროფესიულ გარემოში. ღირებულებები:1) გაგნობიერებულიაქვსდაპატივისცემისეროვნულდაზოგადსაკაცობრიოფასელობებს, აქვსგამომწვევებელიმოქალაქეობრივიშეგნებადამუშაობისთვისდადამოკიდებულებისშეფასება;2) წარმატებით იყენებს პოლიკულტურული პიროვნების თვისებებს პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში და იბრძვის ახალი ღირებულებების დამკვიდრებისათვის.	120	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - #49 12.03.2012წ.




<p>ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა</p>	<p>გაცნობის მაგისტრანტებს ძირითადი საკითხები/პრობლემები თანამედროვე ლიტერატურულ-თეორიულ მსჯელობებთან დაკავშირებით, გაარკვიოს ისინი კონკრეტულ ინტელექტუალურ ფორმირებებში, ძირითად ცნებებსა და კრიტიკულ საკითხებში.</p> <p>მიმართის მაგისტრანტის ინტერესი თანამედროვე თეორიული მეთოდოლოგიების ათვისებისაკენ, რომელიც მოიცავს კომპარატივისტიკას, ნარატიოლოგიას, პოსტსტრუქტურალიზმს, პოსტმოდერნისტულ აზროვნებას, სემიოტიკას, ფსიქოანალიზს, რევერსულ ეთიკას, დეკონსტრუქციას და სხვა. თეორიული ასპექტების შესწავლისას ყურადღება გაუმახვილოს ისტორიულ ფაქტორზე, რაც, შესაბამისად, სტუდენტებს მისდევს შესაძლებლობას, გაიგონ, თუ როგორ ხდებოდა რომელიმე კონკრეტული ცნების ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია ფილოსოფიური, ესთეტიკური, პოლიტიკური და სოციალური მსჯელობების გაფლენით. სტუდენტებს შევლენათ იმეზთან სხვადასხვა ისტორიულ პერიოდზე ანტიკური და შუასაუკუნეებიდან მოყოლებული პოსტმოდერნიზმამდე მომზადდის მაგისტრები, რომლებსაც ათვისებული აქვთ ლიტერატურის შედარებითი და სისტემური ანალიზის ძირითადი პრინციპები, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევითი პრინციპები; რეგიონალური, ზონალური და ნაციონალური ლიტერატურული სისტემების ურთიერთმიმართება და ზოგადი კანონზომიერებანი; ლიტერატურული ეპოქა, როგორც სისტემა და ლიტერატურული პერიოდის ძირითადი „საზომი“ ერთეული; ისტორიული და ლიტერატურული პროცესების ურთიერთმიმართების საკითხები; მომზადდის მაგისტრები ლიტერატურის თეორიის, კომპარატივისტიკის, ქართული ევრო-ამერიკული, სლავური ლიტერატურის და ფოლკლორისტიკის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის; საფუძვლიანად გაარკვიოს მაგისტრანტები კვლევის განსხვავებული მეთოდოლოგიური სისტემების სტრუქტურაში და გამოუმუშაოს ანალიზის განსხვავებული ხერხები ოპერირების პროფესიული უნარი-მიმართის მაგისტრანტების ინტერესი ინტერკულტურული კვლევებისადმი და ეგზიმარის ლიტერატურის როგორც კულტურათმშობლის კომუნიკაციის ფორმის მასშტაბურად გააზრებაში.</p>	<p>აქვს ლიტერატურის თეორიული საფუძვლებისა და ანალიზის პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა, შეუძლია ლიტერატურის და ფოლკლორის კვლევა შედარებითი მეთოდის გამოყენებით; იცის საზღვარგარეთულ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების მნიშვნელოვანი ასპექტები; შეუძლია ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში ასახულ ინტერკულტურულ ფასეულებათა გააზრება, ტრანსლოკური კავშირების დადგენა და შეფასება; იცის ქართული ლიტერატურის და ფოლკლორის კვლევის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები, უახლესი მეცნიერული გამოკვლევები, რომლებიც შესრულებულია კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით; აცნობიერებს ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორისტიკის ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.</p> <p>შეუძლია ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორისტიკის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, ცალკეული ნაწარმოებების სიღრმისეული ანალიზი და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგოების გამოყენებით; ასახულებს, ამა თუ იმ თხზულებაში მხატვრულად როგორ რეალიზდება ესეთ ტიკური პრინციპები; შეუძლია რთული ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემების სწორად დასმა და გაშუქება; შეუძლია ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიის საკვანძო მომენტების სიღრმისეულად გააზრება და ინტერპრეტაცია; სლავური, ევროპული და ამერიკული ლიტერატურის როლის განსაზღვრა ქართული სალიტერატურო პროცესის განვითარებაში.</p> <p>აქვს მხატვრული ლიტერატურის ცალკეულ ძეგლებსა და მათ ავტორებზე, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსა და მათ მოქმედებზე მონაცემთა შეგროვებისა და ინტერპრეტაციის უნარი; შეუძლია მხატვრულ ლიტერატურასა და ფოლკლორზე რთული და ახასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; შეუძლია მიმოიხილოს მასალასა და მონაცემებზე და ყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.</p> <p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის, ასევე, ლიტერატურის თეორიის, კომპარატივისტიკის, ფოლკლორისტიკისა და, ზოგადად, სლავური კულტურის საფუძვლების ცოდნის გამოყენებით, აკადემიური პატივის ნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევითა გათვალისწინებით; ფლობს მეორე ენას დადგენილი საუნი ვერსიტეტო სტანდარტის ფარგლებში.</p> <p>შეუძლია საკუთარ შესაძლებლობათა გათვალისწინებით შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა, წარმართვა და სათანადო პროგრამის (სტრატეგიის) შემუშავება; ცოდნის გაღრმავება სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღებით, ახალი, თანამედროვე ლიტერატურის გაგნობით.</p> <p>შეუძლია მსოფლიო ლიტერატურის და ფოლკლორის ერთ მილიან კულტურულ კონტექსტში გააზრება, ეროვნული მწერლობისა და კულტურის ადგილის განსაზღვრა და შეფასება ქართული და ევროპული კულტურის ისტორიაში; სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ტოლერანტობის, ინტერნაციონალიზმის ღირებულებები სადგინ თა კისი და სხვების დამოკი დებულების შეფასება და ახალი ეროვნული და ზოგადსაქოებრიო ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>	<p>120</p> <p>აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - #50 12.03.2012წ.</p>
<p>ევროპისტიკა (ინგლისური ფილოსოფია ბრიტანული და ამერიკული ლიტერატურა გერმანული ფილოსოფია/ფრანგული ფილოსოფია/ტრანსლატოლოგია)</p>	<p>მოცემული სამაგისტრო პროგრამის მიზანია ფილოსოფიის თანამედროვე დარგებში კომპლექსური ცოდნით აღჭურვილი, შრავალმხრივ განვითარებული, თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კომპერენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც უნარი შესწევს, ღრმად და სისტემურად გააზროს და პრაქტიკაში გამოიყენოს შეძენილი ცოდნა.</p>	<p>ცოდნა და გაგნობიერება: მაგისტრანტს აქვს დარგობრივი სფეროს უახლესი თეორიული საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა; შესწავლილი აქვს სხვადასხვა ლინგვისტური სკოლებისა და მიმდინარეობების ისტორია და თეორიები; ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიის, ევროპული ლიტერატურული პროცესის ძირითადი მიმართულებებისა და ვარების ისტორიის, კვლევის მეთოდებისა და ინტერპრეტაციის ტექნიკის ღრმა და სისტემური ცოდნა; შესწავლილი აქვს ძირითადი მთარგმნელობითი თეორიები, პრინციპები; აქვს ევროპული ენების, ლიტერატურის, კულტურის ღრმა და სისტემური ცოდნა. იოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: მაგისტრანტი ფლობს დარგისთვის სპეციფიკურ მეთოდებს, შეუძლია კომპლექსური პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრა, დაგეგმვა და განხორციელება ორიგინალურად, პროფესიულ დონეზე. შეუძლია შეხედილი ცოდნა გამოიყენოს პროფესიულ პრაქტიკაში. შეუძლია სწორად განსაზღვროს თავისი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების გზები. დასკვნის უნარი-ზოგადი: მაგისტრანტს შეუძლია თავის დარგში ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. შეუძლია სათანადო დასკვნების გამოტანა და თავისი უნარ-ჩვევების მიხედვით პროფესიული საქმიანობის წარმართვა, პრობლემის გააზრება და ანალიზი ინტერდისციპლინურ კონტექსტში. კომუნიკაციის უნარი-ზოგადი: მაგისტრანტს გამოუმუშავებული აქვს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, დისკუსიის, დიალოგის კულტურა შობლოურ ენაზე; მნიშვნელოვანწილად უკეთესად უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი (B1 დონე); შეუძლია კვლევის შედეგების ზეპირი და წერილობითი პრეზენტაცია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და პრეზენტაციების პროგრამების გამოყენებით. სწავლის უნარი: მაგისტრანტს შეუძლია დამოუკიდებლად დაეგვიოს სწავლის გაგრძელება სწავლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში. ღირებულებები: მაგისტრანტი ყალიბდება ერუდირებულ, ინტელექტუალურ პიროვნებად, რომელსაც აქვს ინტერკულტურული ურთიერთობის, ახალი ღირებულებების მიღებისა და დამკვიდრების უნარ-ჩვევები.</p>	<p>120</p> <p>აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - #47 12.03.2012წ.</p>




<p>ისტორია</p> <p>1. საქართველოს ისტორია;</p> <p>2. მსოფლიო ისტორია (თურქეთის ისტორია);</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე მითოზების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკრეტულწარმართი, ცვალებად პროფესიულ გარემოს-თან ადვილად ადაპტირებადი, ფართო სამეცნიერო პოზიციონირების მქონე ისტორიის სპეციალისტი. ორივე მოდული აგებულია პრობლემურ-ქრონოლოგიურ პრინციპებზე, რაც მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზის, მისი გააზრების საშუალებას მისცემს ახალგაზრდას და ჩამოყალიბებს მას მოვლენების ხედვას და კრიტიკული გააზრების უნარს.</p> <p>ა) სასპეციალიზაციო მოდული- საქართველოს ისტორია პროგრამა საინტერესო იქნება უპირველესად მათთვის, ვისაც სურს ჰქონდეს საფუძვლიანი, შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეობით მიღებული ცოდნა ქართველი ერის ისტორიის კონკრეტული პერიოდის ან დიპლომატიკურ ფორმებში დანახული კონკრეტული ისტორიული ფენომენის შესახებ და შესაბამის სფეროში კვლევების ჩატარებისათვის საჭირო ჩვევები და უნარები.</p> <p>ბ) სასპეციალიზაციო მოდული- მსოფლიო ისტორია (თურქეთის ისტორია); მოდული მოიცავს როგორც თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებს, ასევე ემპირიულ მასალას, რომლის მიზანს წარმოადგენს საისტორიო წყაროების შესწავლისა და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების ანალიზის, რომელიც მოამზადებს მკვლევრებს და სპეციალისტებს თურქეთის ისტორიაში.</p>	<p>აქვს მსოფლიო ისტორიის, მათ შორის საქართველოს (პრეისტორიული, ანტიკური, შუასაუკუნეების, ახალი და უახლესი), ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ცოდნა; საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა არა იზოლირებულად, არამედ კავკასიის რეგიონთან, მახლობელ აღმოსავლეთთან და იმ ცივილ იზა ცივთან მიმართებაში, რომლებ თანაც ისტორიულად იყვნენ დაკავშირებული; შეუძლია ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და წყაროების კითხვა, კომენტირება, ანოტირება და გამოყენებაწერილობითი, ნოტიური, ზიბლოგრაფიული,საველე და სხვა სახის მონაცემების შეგროვებითა და გამოყენებით შეუძლია ისტორიოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებაში შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბებაშეუძლია სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ნაციონალური, კულტურული და მსოფლმშედეგლობრივი მრავალფეროვნების გააზრება და პატივისცემა, ასევე ამ ღირებულებების საზოგადოებაში დამკვიდრება.</p>	<p>120</p>	<p>აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - #48 12.03.2012წ.</p>
<p>მეცნიერებისპირისა და კავკასიის არქეოლოგია</p>	<p>მოამზადოს მაგისტრები არქეოლოგიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის. მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა არქეოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ. საფუძვლიანად დაეუფლოს დაზვერვების, გათხრების დაგეგმვის, ორგანიზების, სტრატეგრაფიისა და კულტურული ფენების განსაზღვრის უნარ-ჩვევებს. შეეძლოს მატერიალურ ნაშთებში ასახული კულტურული-ისტორიული პროცესების კანონზომიერებათა დადგენა და ინტერპრეტაცია, განავითაროს მასალის ანალიზისა და სინთეზირების, ასევე კრიტიკული ხედვის უნარი, შეძლოს ისტორიულ ცოდნაში თეორიული და გამოყენებითი კომპონენტების გამოყოფა, მისი საექსპერტო, პროგნოსტიკული და სხვა ფუნქციების განსაზღვრა.</p>	<p>ფლობს კვლევის თანამედროვე მეთოდებს; აქვს დაზვერვების, გათხრების დაგეგმვის, ორგანიზების, სტრატეგრაფიისა და კულტურული ფენების განსაზღვრის, აღმოჩენილი მასალების მორფოლოგიური, ფუნქციონალური, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, სისტემატიზაციის, კამერალური სამუშაოების და კვლევის დარგობრივი უნარჩვევები; შეუძლია არქეოლოგიური დაწერილობითი მონაცემების შეუკრება,ნივთიერი მასალის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური და მუშავება,ახლად აღმოჩენილი ნივთიერი მასალების განსაზღვრა,აღწერა,დაბასითება,კლასიფიკაცია და თარიღება, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებაშეუძლია მეცნიერებისპირისა და კავკასიის კულტურათა კომპლექსური შესწავლა,საკვლევი პრობლემის გამოკვეთა და დასაბუთება, ველზე წამოჭრილი ახალი და რთული პრობლემების განთხიერება,ანალიზი,მათი გადაჭრის სტრატეგიის დაგეგმვა და სწორი დასკვნის გაკეთება;</p>	<p>120</p>	<p>აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - #45 12.03.2012წ</p>




ეთნოლოგია	<p>მომზადოს მაგისტრები ეთნოლოგიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის. მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ეთნოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.</p>	<p>აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ეთნოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ; ვლობს კვლევის თანამედროვე მეთოდებს; აქვს ტერიტორიის შერჩევის, სავლელ ექსპედიციის დაგეგმვის, ორგანიზების, მოძიებული მასალების ფუნქციონალური, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, სისტემატიზაციის, კამერალური სამუშაოების თუ კვლევის დარგობრივი უნარ-ჩვევები; შეუძლია სავლელ მასალებში ასახული კულტურული-ისტორიული პროცესების კანონზომიერებათა დადგენა და ინტერპრეტაცია; აქვს ხალხთა ტრადიციულ-სოციალური კულტურის გენეზისის, ურთიერთგავლენისა და თავისებურებების ღრმა და სისტემური ცოდნა; ახალი იდეების ჩამოყალიბების უნარი; განვითარების კავკასიის ხალხთა მათ შორის ქართველების როლს ზოგადსაკაცობრიო კულტურაში შეუძლია აღწერითი და სამეცნიერო ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიური მონაცემების შეგროვება; სავლელ მასალის ტიპოლოგიური და მუშავება; აღწერა, დახასიათება, კლასიფიკაცია, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება; ახალ და მულტიდისციპლინარულ გარემოში მოქმედება და ინტერ-დისციპლინარულ გეგმებთან მუშაობა; მერყეული ტერიტორიის ეთნოგრაფიული შესწავლის აუცილებლობის დასახულება; სავლელ სამუშაოების გაბოლოება, კვლევა და დოკუმენტაციის წარმოება; შეუძლია კავკასიისა და მსოფლიოს ს.დ. ხალხების ტრადიციულ-სოციალური კულტურის კომპლექსური შესწავლა, შეპირისპირება და არგუმენტირებული და სკვნების ჩამოყალიბება; სავლელ პრობლემის გამოკვეთა და დასახულება; მეთოდოლოგიური საფუძვლის განსაზღვრა; მემორიული და თეორიული მასალის შეგროვება და ანალიზი, ობიექტური დასკვნების გაკეთება; ვლელ წამოჭრილი პრობლემების განვითარება; ანალიზითა და დაჭრის სტრატეგიის დაგეგმვა და სწორი დასკვნის გაკეთება; თემის მოძიება; იდეის შესაბამისად კვლევის დაგეგმვა; ინფორმაციის სისტემატიზებული მოგროვება; ანალიზი, ლოგიკური და გააზრებული არგუმენტების გამოყენებით დასკვნის გაკეთება; ჩამოყალიბებული აქვს კომპიუტერული და ინტერნეტ რესურსების დარგთან მიმართებაში აუდიტორიისათვის, თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული შედეგების წერითი და ზეპირი ფორმით პრეზენტაცია; შეუძლია სწავლებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დამოუკიდებლად წარმართვა და დარგში მიღებული ცოდნის მუდმივად განახლება; მიღებული ცოდნა, კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი მაგისტრის მისცემს შესაძლებლობას, შექმნას მაღალი მეცნიერული ღირებულების მქონე ნაშრომი ზეპირ ღვისპირეთისა და კავკასიის ეთნოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემაზე; აქვს საქართველოს და მისი ისტორიული უახლოესი მეზობელი სახელმწიფოებისა და ერების კულტურის პატივისცემა და შეუძლია ამ იდეების საზოგადოებაში დამკვიდრება; შეუძლია დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით მუშაობასა და სასწავლო პროცესში ინოვაციური ღირებულებების შეტანა და დანერგვა.</p>	<p>120</p> <p>აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - #8 03.01.2013წ.</p>
-----------	--	--	--




<p>ფილოსოფია</p>	<p>კაცობრიობის სულიერი განვითარების ყოველ ეტაპზე ფილოსოფიას განსაკუთრებული როლი ეკისრება. ასეა დღესაც – თანამედროვე კატაკლიზმებით აღსავსე მსოფლიოში, როცა ხდება დირებულუბათა ხშირი გადაფასება, ძველისა და ახლის მუდმივი ბრძოლა, მსოფლმშედეგლობრივი, პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირებები და ა. შ.</p> <p>ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტ-მაგისტრანტებს (არჩეული მოდულის მიხედვით) შეასწავლოს ფილოსოფიის ისტორიის, რელიგიის ფილოსოფიისა და პოლიტიკის ფილოსოფიის მთავარი საკითხები, გაარკვიოს ამ სფეროებში წამოჭრილი პრობლემების არსი და მათი გადაჭრის გზების მიგნაში. ამაში მას დაეხმარება პროგრამის მოდულებში შემავალი შესაბამისი სასწავლო დისციპლინები. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე, მაგისტრატურაში სწავლების იმ მსურველთა (სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა) მოთხოვნებს და სურვილებს, ვისი ინტერესის სფეროსაც კონკრეტულად წარმოადგენს რელიგიური და პოლიტიკური რეალიების ღრმა და საფუძვლიან გაგნობიერება-გააზრებას. პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ სწავლების პირველ სემესტრში გათვალისწინებულია სამივე მოდულიდან თითო ისეთი საგნები, რომლებიც აჩვენებენ მოდულს შორის კავშირს, კერძოდ: ფილოსოფიასა (ფილოსოფიის ისტორიის ჭრილში) და რელიგიის (რელიგიური ფილოსოფიის კუთხით) ურთიერთმიმართებას, ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ფილოსოფიას შორის და რელიგიურ ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ფილოსოფიას შორის, რის საფუძველზეც მაგისტრს უადვილდება მისთვის სასურველი მოდულის არჩევა. აღნიშნული სამი სფეროს ურთიერთობის გარკვევის გარეშე, თანამედროვე ვითარებაში, ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე მდგომი ჩვენი მომავალი თაობა გადაუღალავი წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდება. სწორედ ყველაფერი ამისათვის არის მოწოდებული სამი სფეროს მომცველი სამაგისტრო პროგრამის მთავარი მიზანი.</p>	<p>ფილოსოფიის ისტორიის სასპეციალიზაციო მოდულის კურსდამთავრებულმა (ლი) იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> - ფილოსოფიის ისტორიის პერიოდები, ძირითადი ფილოსოფიური სისტემები, მიმდინარეობები და მიმართულებები. - ანტიკური, შუა, ახალი და თანამედროვე ფილოსოფიის ძირითადი ტენდენციები. იცნობს ფილოსოფიის კლასიკოსების შრომებს; - პლატონის მთავარი დიალოგები („ფედონი“, „პარმენიდე“, „სოფისტე“, „თეეტეტე“, „სახელმწიფო“ და სხვ.), არისტოტელეს „მეტაფიზიკა“, „ორგანონი“, ეთიკური თხზულებები; - აგნოზიერებს არისტოტელეს ფილოსოფიურ შეხედულებებს მილიანობაში, რაც მას ეხმარება საკუთარი იდეების შემუშავებაში, ასევე აგნოზიერებს არისტოტელეს ლოგიკურ შეხედულებებს სილოგისტური დასკვნების შესახებ და ავლენს პარალელებს თანამედროვეობასთან; - იცის პლატონის ძირითადი იდეები და ერკვევა ქრისტიანული და ქართული ნეოპლატონიზმის არსი; - იცნობს პლოტინუს ენაიდების ტრაქტატებს, რომლებიც პირველ საწყისს, სიკეთესა და მშვენიერებას ეხებიან, პროკლეს „თეოლოგიის პირველ საფუძვლებს“ და მასზე დართულ პეტრიწისეულ კომენტარებს; - იცის შუა საუკუნეების ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებები, გერმანული კლასიკური ფილოსოფია და თანამედროვე ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარეობები. - იცის ფილოსოფიის ისტორიასთან თანამედროვეობის მიმართება, იცნობს ამ მიმართების ნიუანსებს, გარკვეულ ფილოსოფიურ სისტემებში, მიმდინარეობებში და მიმართულებებში. - აგნოზიერებს დიალექტიკური აზროვნებისა და საერთოდ, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მნიშვნელობას თანამედროვე მეცნიერული და კულტურული აზროვნების ჩამოყალიბების საქმეში; - იცის, რომ გერმანული კლასიკური ფილოსოფია არის წყარო, რომლიდანაც მომდინარეობს და რომელთან მიმართებაშიც გაიზარება მრავალი იდეოლოგიური, მეცნიერული, კულტურულ-პოლიტიკური და სხვ. უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისები; <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ფილოსოფიის ისტორიის კვლევით მიღებული ცოდნის გამოყენება, თანამედროვე ფილოსოფიის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტა, მსოფლმშედეგლობრივ არეალში არსებული წინააღმდეგობების გადაჭრა. - შეხედულებათა და მოსაზრებათა ექსპერტიზა. - თავის სფეროში ფილოსოფიის კლასიკოსთა თვალსაზრისების, კონცეფციებისა და დებულებების გამოყენება შესაბამის სპეციალიზებულ სფეროში. - მოცემულ სიტუაციაში ორიენტირება, ამა თუ იმ შეხედულებათა განმარტება, ინტერპრეტირება-კომენტირება. - აქვს ანალიზის უნარი და იყენებს მას მოცემულ ვითარებაში ორიენტირებული ქმედებისთვის. - მაგისტრატურის კურსდამთავრებული მინიმუმ ფლობს ერთ-ერთ ევროპულ ენას, რაც ეხმარება მას დარგში არსებული ლიტერატურისა და უახლესი ინფორმაციის გაცნობაში. - შეუძლია სამეცნიერო სტატიის მომზადება გამოსაცემად და ამასთან, შეუძლია მისი საბაზო უცხო ენის შესაბამის აუდიტორიაში მის მიერ შედგენილი სამეცნიერო ნაშრომის წარდგინება (პრეზენტაცია). <p>დასკვნის უნარი: კურსდამთავრებულს აქვს:</p>	<p>აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - #88 24.07.2015 წ.</p>
------------------	---	---	---




<p>სოციოლოგია</p>	<p>სოციოლოგიის, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერების სწავლების მიზანია, რომ გაიზარდოს სპეციალისტთა რიგების სწავლება საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ანალიზი, ამ პროცესების შეფასება, მათი მიზეზების დადგენა, მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზირება.</p> <p>სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტ-მაგისტრანტებს ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი სოციოლოგიური პრობლემების არსი, გააცნობიერებინოს სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, სოციოლოგიური კვლევის მეთოდებისა და დარგობრივი სოციოლოგიის მთავარი საკითხები. პროგრამის ფარგლებში უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე მეთოდების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული სპეციალისტი. პროგრამის მიზანია ასევე მაგისტრანტისათვის ღრმად და სისტემური თეორიული ცოდნის მიცემა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და არსებული გამოცდილების გამოყენების უნარის, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის უნარების ჩამოყალიბება.</p> <p>მალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ხედვების დანერგვას, როგორცაა მომავლის მიზნებიდან გამომდინარე, დღევანდელის მდგომარეობის გაზრება. ტრადიციულად, მხოლოდ წარსულის დღევანდელობაში დანერგვას ვედილობთ. ამ მდგომარეობის საწინააღმდეგოდ, არსებული შეხედულების საპირისპირო ვექტორის დანერგვა მომავლის პერსპექტივიებიდან არსებული რეალობის ანალიზის გულისხმობს. ვინაიდან ჩვენი დღევანდელია უფრო მეტად მოითხოვს ჩვენგან მომავლის მდგომარეობების გათვალისწინებას, აუცილებელია, რომ მომავალ სოციოლოგებს შეეძლოთ ისტორიული მემკვიდრეობისა და სოციალური პერსპექტივიების გათვალისწინებით შექმნილი სიტუაციების გაანალიზება.</p>	<p>ცოდნა და გაგნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> - იცის სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების წარმოშობის, წინაპირობებისა და განვითარების ისტორია; - აქვს ძირითადი სოციოლოგიური თეორიების ფუნდამენტური ცოდნა; - იცნობს თანამედროვე მსოფლიოში სოციოლოგიის განვითარების ტენდენციებს და აქტუალურ პრობლემებს; - იცის დარგობრივი სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები და მიმართულებები; - იცის სოციოლოგიის კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები; - იცის სოციოლოგიური კვლევის შედეგების დამუშავების მეთოდები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> - შეუძლია სოციოლოგიური კვლევების დაგეგმვა და წარმოება; - საკვლევი სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია კითხვარებისა და ანკეტების შედგენა; - შეუძლია საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების დიაგნოსტიკა და პროგნოზირება; - თანამედროვე ტექნოლოგიების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება კვლევის პროცესში; - შეუძლია აქტუალური პრობლემების კლასიფიცირება და საზოგადოებისთვის მტკიცებელი საკითხების მოგვარების გზების შეთავაზება. <p>დასკვნის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> - აქვს მაღალკვალიფიციური სტრატეგიული ანალიზის უნარი; - შეუძლია სოციოლოგიური კვლევების და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სათანადო დასკვნების გამოტანა; - რთული და არასრული ინფორმაციის პირობებში კრიტიკული ანალიზისა და სათანადო მეთოდების გამოყენების საფუძველზე შეძლების საერთო სურათის შექმნას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას; - შეუძლია ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შედარება მსოფლიოში არსებულ ტენდენციებთან. <p>კომუნიკაციის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> - შეუძლია სამეცნიერო თემებისა და სოციოლოგიური კვლევის შედეგების პრეზენტაცია როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე; - შეუძლია წამოჭრას აქტუალური პრობლემების გარშემო პოლემიკა და წარმართოს ის პროფესიული ეთიკისა და მაღალკვალიფიციური კომპეტენციების გამოვლინების რეჟიმში; - შეუძლია კომუნიკაცია კოლეგებთან პროფესიულ თემებზე; - აქვს უნარი ფართო საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მათთვის საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე. <p>სწავლის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> - აქვს უნარი გამოკვეთოს საკუთარი ინტერესების სფერო და შესწავლილი მოდელები გამოიყენოს შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის; - შეუძლია საკუთარი ცოდნა გაამდიდროს დარგობრივი სოციოლოგიის სფეროში; - სისტემატურად გაამდიდროს თავისი ცოდნა მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური პროცესების გაგნობით და მათ საფუძველზე მოახდინოს საქართველოში მიმდინარე სოციალური თემების შესწავლა. <p>ღირებულებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - განსხვავებული შეხედულებებისადმი, აღმსარებლობისადმი, ეთნიკური და რასობრივი კუთვნილებისადმი ტოლერანტული 	<p>აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - #89 24.07.2015 წ.</p>
<p>მათემატიკა</p>	<p>მისცეს სტუდენტს ღრმად და სისტემური განათლება მათემატიკის ფუნდამენტურ მიმართულებებში, რომელიც აძლევს თანამედროვე ორიგინალური იდეების შემუშავების და კვლევაში მისი გამოყენების საშუალებას: უზრუნველყოს მრავალმხრივი და ფართო განათლების მიღების ინტერესების მქონე მაგისტრანტ სტუდენტთა მისწრაფებების დაკმაყოფილება მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებში (კომპიუტერული და ტოპოლოგი, ალგებრა და მათემატიკური ლოგიკა, მათემატიკური ანალიზი და ფუნქციონალი თეორია, ალბათობის თეორია და ფინანსური მათემატიკა) თეორია არჩევითი მოდულებების შეთავაზებით: * გამოუმუშაოს ისეთი ჩვევები, რომლებიც მას მისცემს უნარს რომელთა გამოყენებით შესაძლებელია მათემატიკურ და არამათემატიკურ დარგებში წარმოქმნილი თეორიული და/ან პრაქტიკული პრობლემების გაგების, ანალიზის, შეფასების და გადაწყვეტის უახლესი მეთოდებისა და გზების შემუშავება.* შესძინოს სტუდენტს ჩვევები, რომლებიც განუვითარებს მას უნარს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიური მიღწევების დონეზე აკადემიურ და სამეცნიერო საზოგადოებას გააცნოს თავისი დასკვნები, არგუმენტირებით, კვლევის მეთოდები და შედეგები.</p>	<p>* მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებების ღრმად და სისტემური ცოდნით შეუძლია გააცნობიეროს მათემატიკის თეორიული პრობლემები და პრაქტიკული ამოცანები, ფლობს მათემატიკის კვლევის ძირითად მეთოდებს და იცის სხვადასხვა ტიპის მათემატიკური პრობლემების აღწერისათვის და გადაწყვეტისათვის საჭირო პროგრამული ენები. შეუძლია მათემატიკური დებულებების ჩამოყალიბება და დამტკიცება, შესაბამისი სირთულის მათემატიკური თეორიის აგება, გამოკვლევა და მიღებული შედეგების ანალიზი. შეუძლია კონკრეტულ მათემატიკურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევა და ანალიზი, გააჩნია მსჯელობის წარმოების და მისგან გამომდინარე სწორი დასკვნების გაკეთების უნარი.</p> <p>* შეუძლია მათემატიკური თეორიის აგება და ჩამოყალიბება, მიღებული შედეგების შესახებ სამეცნიერო შრომის მომზადება და მოხსენების გაკეთება</p> <p>* დამოუკიდებლად შეუძლია მათემატიკის თანამედროვე მიმართულებებიდან აქტუალური დარგის განსაზღვრა და შესწავლა.</p> <p>* აცნობიერებს სამეცნიერო მუშაობისათვის მათემატიკის კლასიკური და თანამედროვე დარგების მნიშვნელობას და მათ გამოყენებით ღირებულებას.</p>	<p>120 აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - #53 12.03.2012წ.</p>



ქიზია	<p>პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული სპეციალისტის მომზადებას და დემოკრატიული პრინციპების, ლიბერალური ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას, პროგრამის მიზანია ასევე მაგისტრანტიკის ქიმიის მიმართულებით ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნის მიცემა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და არსებული გამოცდილების გამოყენების უნარის, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ქიმიური ექსპერიმენტის დამოუკიდებლად ჩატარების, მიღებული შედეგების დამუშავების, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის უნარების ჩამოყალიბება</p>	<p>მაგისტრს აქვს დარგის ძირითადი მიმართულებების- არაორგანული, ორგანული, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი იდეების შემუშავების საშუალებას. კრიტიკულად გაზრებული და გაცნობიერებული აქვს სპეციალიზაციით ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა გამოუმუშავებული აქვს ექსპერიმენტული სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვის, უსაფრთხოდ ჩატარების და განხორციელების უნარ- ჩვევები. შეუძლია: ქიმიური ექსპერიმენტის მიმდინარეობაზე დაკვირვება, მონაცემების შეგროვება, ცდომილების მათემატიკური დამუშავება, შედეგების გაანალიზება, ლოგიკური მსჯელობა და დასკვნების გამოტანა; კვლევის უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით თოული და არასრული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი და სინთეზი; ქიმიური პროცესების მსვლელობის წინასწარი პროგნოზირება; საზოგადოების წინაშე კვლევის შედეგების წარდგენა; თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება ქიმიური კვლევისა და ექსპერიმენტის შედეგების დამუშავება- გაანალიზების დროს. ქიმიური ექსპერიმენტის შედეგების წერილობითი და ზეპირი ფორმით პროცესის და სხვა დავალების მომზადება და ინფორმაციის წარდგენა საზოგადოების წინაშე აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით; კრიტიკულად აფასებს საკუთარ ცოდნას, აცნობიერებს განახლების აუცილებლობას; შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა. აფასებს საკუთარ და სხვების პროფესიულ სრულყოფას, პასუხისმგებლობის გრძობას, მაღალ საუნივერსიტეტო კულტურასა და ერუდიციას; მიღებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების პრაქტიკულ ღირებულებასა და მნიშვნელობას.</p>	120	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - #55 12.03.2012წ.
ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარება	<p>პროგრამის მიზანია აჭარის ბუნებრივი ლანდშაფტების თავისებურებების, როგორცაა: ნიადაგსაფარის მრავალფეროვნება, გრაფიკული პროცესების (მუწკერები) აქტიურობა და ზღვის სანაპირო ზონაში არსებული რთული მორფოდინამიკური პროცესების და შედეგების შესწავლა. აგრეთვე მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც თანამედროვე სამეცნიერო - ტექნიკური ბაზის პირობებში შეეძლება ჩატაროს კვლევა ბუნებრივი გარემოს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.</p>	<p>სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ გეოგრაფიის მაგისტრი ითვისებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად კურსებს, ღებულობს ღრმა ცოდნას, რის საფუძველზე: სიღრმისეულად ფლობს ფიზიკური გეოგრაფიის კვლევის მეთოდებსა და ზერებს; მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საფუძველზე შეუძლია აწარმოოს მონიტორინგი გარემოში მიმდინარე პროცესებზე და მოვლენებზე; მონიტორინგის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მეშვეობით შეუძლია შექმნას საფუძვლიანი და დეტალური ანგარიში. მიღებული ცოდნის და კვალიფიკაციის საფუძველზე შეუძლია აწარმოოს პედაგოგიური და სასწავლო აღმზრდელობითი საქმიანობა.</p>	120	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - #54 12.03.2012წ.



საზოგადოებრივი ჯანდაცვა	<p>სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტის შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა შემდეგ საკითხებში:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითადი პრობლემების შესახებ; • საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დემოგრაფიული თავისებურებების, მათ შორის ჯანმრთელობის ხელშეწყობის და დაავადებათა პრევენციის, გარემოს (ეკოლოგიური და სოციალური) გავლენის ადამიანის ჯანმრთელობაზე, ავადობის, დაავადებათა გავრცელების, სიკვდილიანობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ; • საქართველოში ჯანდაცვის სამსახურების ორგანიზაციისა და დაფინანსების შესახებ; • საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფო სამსახურების სტრუქტურისა და როლის შესახებ; • ეპიდემიოლოგიის, სამედიცინო სტატისტიკის, მტკიცებითი მედიცინის შესახებ; • საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ; • ჯანმრთელობის დაცვის სფეროს კანონმდებლობის, ბიოეთიკის შესახებ; • ჯანდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში პოლიტიკური სუბიექტების როლის, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობაზე კანონების და მარეგულირებელი წესების გავლენის შესახებ; • პოლიტიკის შემუშავების პროცესის ანალიზისა და შეფასების და ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში მისი გავლენის შესახებ; • ჯანდაცვის პოლიტიკის პრობლემებისა და საკითხების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზისა და სინთეზის უნარი; • ჯანდაცვის პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტების შემუშავების და მათი ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამართლებრივი და სოციალური შედეგების შესახებ; 	<p>ცოდნა ქვეყნის მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითადი გამოწვევების და იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც მიზნობრივად შედგებიან პრობლემების მოსაგვარებლად:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითადი პრობლემების ცოდნა; • საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დემოგრაფიული თავისებურებების, მათ შორის ჯანმრთელობის ხელშეწყობის და დაავადებათა პრევენციის, გარემოს (ეკოლოგიური და სოციალური) გავლენის ადამიანის ჯანმრთელობაზე, ავადობის, დაავადებათა გავრცელების, სიკვდილიანობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის ცოდნა; • საქართველოში ჯანდაცვის სამსახურების ორგანიზაციისა და დაფინანსების ცოდნა; • საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფო სამსახურების სტრუქტურისა და როლის ცოდნა; • ეპიდემიოლოგიის, სამედიცინო სტატისტიკის, მტკიცებითი მედიცინის ცოდნა; • საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცოდნა; • ჯანმრთელობის დაცვის სფეროს კანონმდებლობის, ბიოეთიკის ცოდნა; • ჯანდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში პოლიტიკური სუბიექტების როლის, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობაზე კანონების და მარეგულირებელი წესების ცოდნა; • სადაზღვეო საქმის ცოდნა; <p>ეფექტური საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარების, ანალიზის და შეფასების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დემოგრაფიული თავისებურებების, მათ შორის ჯანმრთელობის ხელშეწყობის და დაავადებათა პრევენციის, გარემოს (ეკოლოგიური და სოციალური) გავლენის ადამიანის ჯანმრთელობაზე, ავადობის, დაავადებათა გავრცელების, სიკვდილიანობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის ანალიზის უნარი; • საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფო სამსახურების სტრუქტურისა და როლის გაგების უნარი; • პოლიტიკის შემუშავების პროცესის ანალიზისა და შეფასების და ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში მისი გავლენის გაგების უნარი; • ჯანდაცვის პოლიტიკის პრობლემებისა და საკითხების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზისა და სინთეზის უნარი; • ჯანდაცვის პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტების შემუშავების და მათი ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამართლებრივი და სოციალური შედეგების შეფასების უნარი; • კონკრეტულ პროგრამებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის კანონების და რეგულირების იდენტიფიცირებისა და მათი გავლენის შეფასების უნარი; • ჯანდაცვის პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების უნარი; • უახლესი მეთოდებისა და მიდემოების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი 	<p>120</p> <p>აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - #112 27.05.2014წ.</p>
